# CONTACTS WITH THE ACHAEMENID WORLD ACCORDING TO THE GLYPTIC MONUMENTS OF GEORGIA

# კონტაქტები აქემენიდურ სამყაროსთან საქართველოს გლიპტიკური ძეგლების მიხედვით

**TAMAR MATIASHVILI**

PHD in History, Associate Professor
of LEPL Samtskhe-Javakhet State University
113 Rustaveli str, 0800, Axaltsikhe, Georgia
tamarmatiasvili@yahoo.com
http://orcid.org/0000-0002-7340-7608

## Abstract

The material obtained by archaeological excavations provides quite a lot of information about the political, religious, cultural and economic contacts between Achaemenid Iran and Colchis-Iberia. It should be noted that the topic of Achaemenid Iran was brought to Georgian archeology by Yulon Gagoshidze, who is one of the first researchers who justified the need to study the mentioned problem from a multi-faceted aspect. Z. Bragvadze has an interesting opinion on this topic, which we completely agree with. It has seen Iranian artifacts found in Georgia as the result of military-political and cultural-religious relations.

State of Kolketi was established in the VI century BC. The period of rise of this Kingdom is considered in VI-IV BC i.e. the age of power of Achaemenid Iran.

As is known, according to Strabo, Colchis was divided into skeptuchs at that time, and as a result of the reforms of Darius I, Iran was divided into satrapies. Here we should also remember Leonti Mroveli – the King Pharnavaz divided the Kingdom into administrative territorial units "saeristao" and most importantly he carried out and organized this reform like the Persian kingdom.

The Iranian model of state organization was implemented in the Kingdom of Kartli (Iberia) after the destruction of the Achaemenid state, in the III century BC. In the opinion of archaeologist Zurab Bragvadze, this is a very noteworthy narration, because it clearly shows that the reforms developed and implemented in Iran were relevant and exemplary in Iberia even after this kingdom.

An example was also the eclectic Achaemenid art, which had borrowed details of the art of various countries (Assyria, Babylon, Elam, Urartu, Greece, etc.) and despite this, Achaemenid art as a whole remained specifically Iranian.

The same can be said about the Achaemenid glyptic. According to J. Bordman, the sharp separation of the Greek and Persian style in the monuments of the Achaemenid glyptic is a complex issue and is sometimes associated with great difficulties. Glypticits Ketevan Javakhishvili defined the shapes of the Achaemenid glyptic monuments found in Georgia: cylindrical, conical, pyramidal, scaraboid and polygonal. We have added to this list the triangular and quadrangular-shaped handle-shaped bronze printing presses whose intaglio scenes were created under the influence of Achaemenid art.

**Key words**: Achaemenid glyptic monuments; Tsikhiagora; a bronze stamp with triangular shaped handle; a bronze stamp with quadrangular shaped.

**თამარ მათიაშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.
საქართველო, ახალციხე, რუსთაველის ქ. #113
tamarmatiashvili@yahoo.com
http://orcid.org/0000-0002-7340-7608

**აბსტრაქტი**

აქემენიდურ ირანსა და კოლხეთ-იბერიას შორის არსებული პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და ეკონომიური კონტაქტების შესახებ საკმაოდ დიდი ინფარმაციის მომწოდებელია არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ არქეოლოგიაში აქემენიდური ირანის თემა შემოიტანა იულონ გაგოშიძემ, რომელიც ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელმაც აღნიშნული პრობლემის მრავალპლანიანი ასპექტით შესწავლის აუცილებლობა დაასაბუთა. ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ზ. ბრაგვაძეს, რომელსაც სრულიად ვეთანხმებით. მას საქართველოში აღმოჩენილი ირანული არტეფაქტები განხილული აქვს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ურთიერთობების შედეგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია აზრი, რომ კოლხეთში სახელმწიფო შეიქმნა ძვ.წ. VI ს-ში და ამ სამეფოს აღმავლობის პერიოდად მიჩნეულია ძვ.წ. -VI-IV სს-ბი, ანუ აქემენიდური ირანის ძლიერების ხანა. როგორც ცნობილია, სტრაბონის ცნობით კოლხეთი ამ დროს დაყოფილია სკეპტუხებად ხოლო დარიოს I-ის რეფორმების შედეგად ირანი დაყოფილია სატრაპიებად, აქვე უნდა გავიხსენოთ ლეონტი მროველიც - ფარნავაზმა სამეფო დაყო ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებად, საერისთაოებად და რაც მთავარია, მან ეს რეფორმა გაატარა და სამეფო მოაწყო სპარსთა სამეფოს მსგავსად. ანუ, სახელმწიფოს მოწყობის ირანული მოდელი ქართლის (იბერიის) სამეფოში ამოქმედდა აქემენიდების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ, ძვ.წ. III საუკუნეში. არქეოლოგ ზურაბ ბრაგვაძის აზრით ეს მეტად საყურადღებო გადმოცემაა, რადგან კარგად წარმოაჩენს, რომ ირანში შემუშავებული და განხორციელებული რეფორმები ამ სამეფოს შემდეგაც აქტუალური და მისაბაძი იყო. მისაბაძი იყო აგრეთვე ეკლექტიკური აქემენიდური ხელოვნებაც, რომელსაც ნასესხები ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნების (ასურეთის, ბაბილონის, ელამის, ურარტუს, საბერძნეთის და სხვა. ) ხელოვნების დეტალები, და მიუხედავად ამისა, მთლიანობაში აქემენიდური ხელოვნება მაინც სფეციპიკურად ირანულად რჩებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას აქემენიდური გლიპტიკის შესახებაც. ჯ. ბორდმანის აზრით აქემენიდური გლიპტიკის ძეგლებში ბერძნული და სპარსული სტილის მკვეთრად გამიჯვნა რთული საკითხია და ზოგჯერ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აქემენიდურ საბეჭდავების მასალად უმეტესად სხვადასხვა ფერის ქალცედონი იხმარებოდა - დიდი სიყვარულით სარგებლობდა რძისფერი, განსაკუთრებით კი ცისფერი ქალცედონი-საფირინი. იშვიათად იყენებდნენ აგრეთვე აგატსა და სარდიონსაც. გლიპტიკოს ქეთევან ჯავახიშვილის მიერ განსაზღვრულია საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური გლიპტიკის ძეგლების ფორმები: ცილინდრული, კონუსური, პირამიდული, სკარაბეოიდისა და მრავალწახნაგა.

ჩვენ ამ ჩამონათვალს დავუმატეთ კავთისხევის ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში და მის მიმდებარედ სამაროვანზე აღმოჩენილი სამკუთხა და ოთხკუთხა ფორმის სახელურიანი ბრინჯაოს საბეჭდავები რომელთა ინტალიოზე აღბეჭდილი სიუჯეტები აქემენიდური ხელოვნების ზეგავლენით ადგილობრივად არიან შექმნილნი.

**საკვანძო სიტყვები:** აქემენიდური გლიპტიკის ძეგლები; ციხიაგორა; ბრინჯაოს სამკუთხა სახელურიანი საბეჭდავი; ბრინჯაოს ოთხკუთხა სახელურიანი საბეჭდავი.

## შესავალი

ჩვენი ნაშრომის ერთგვარ ინსპირაციად გვესახება არქეოლოგ ზურაბ ბრაგვაძის გამოქვეყნებული საინტერესო ნაშრომი (ბრაგვაძე, ზ. (2021). *კოლხეთი და იბერია,* გვ. 48), სადაც საკმაოდ დამაჯერებლად არის დასაბუთებული ქართლის (იბერიის) სამეფოში სახელმწიფოს მოწყობის ირანული მოდელის გატარება აქემენიდების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ ძვ.წ. III საუკუნეში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ დრომდე დიდი ყურადღება არ ეთმობოდა აქემენიდებისა და ქართული სახელმწიფოების ( კოლხეთი, იბერია) ურთიერთობის შესწავლას. სათანადოდ არ იყო გაზიარებული ირანის როლი და მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში. წყაროთმცოდეობის ბაზა ამ პერიოდთან დაკავშირებით ბევრ ინფორმაციას არ გვაწვდის. ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს და ლეონტი მროველის ცნობები, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების ირან-ქართული ურთიერთობების შესახებ ზოგადია, და შეიძლება ითქვას ისტორიული თვალსაზრისით საეჭვოც. რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალას საკმაოდ დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი და გეოგრაფიული თვალსაზრისით მოიცავს მთელ შიდა ქართლს, ქვემო ქართლს, მესხეთს, იმერეთს და მათი ირანული წარმოშობა ქართველ მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს.

ჩვენს მიერ ძვ.წ. III ს-ით დათარიღებული ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი ბრინჯაოს ოთხკუთხა და სამკუთხა საბეჭდავებზე, აგრეთვე თიხის ბულებზე აღბეჭდილი სიუჟეტებიც, სხვა ძეგლებთან ერთად დიდ მსგავსებას ავლენენ ეკლექტიკური აქემენიდური ხელოვნების ნიმუშებთან.

## მეთოდი

სტატია ემყარება ისტორიულ-შედარებით მეთოდს და სტილისტურ ანალიზს.

## მსჯელობა და დასკვნები

აქემენიდურ ირანსა და კოლხეთ-იბერიას შორის არსებული პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და ეკონომიური კონტაქტების შესახებ საკმაოდ დიდი ინფარმაციის მომწოდებელია არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ არქეოლოგიაში აქემენიდური ირანის თემა შემოიტანა იულონ გაგოშიძემ, რომელიც ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელმაც აღნიშნული პრობლემის მრავალპლანიანი ასპექტით შესწავლის აუცილებლობა დაასაბუთა ( გაგოშიძე, 1984).

აქემენიდური ხანა ძვ.წ. – VI-IV საუკუნეები მნიშვნელოვანი გადატეხის ხანაა საქართველოს ნივთიერი კულტურის ისტორიაში. არქეოლოგიური აღმოჩენები გვარწმუნებს, რომ სპარსელთა ბატონობა კავკასიის ქედამდე ვრცელდებოდა. ამის

საუკეთესო საბუთია სპარსულ-აქემენიდური ტიპის სასახლეებისა და ზარისებური ფორმის სვეტების ბაზების აღმოჩენა აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ სომხეთის, ხუთ პუნქტში - (ციხიაგორა, სამადლო, ქუმბათი, სარი-თეფე, ბენიამინი), რომლებიც ერთმანეთთან დაახლოებით თანაბარი მანძილით არის დაშორებული. ეს კი შეიძლება, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის მიმანიშნებელიც იყოს. ჯერ კიდევ საკამათოა საკითხი, შედიოდა თუ არა სამხრეთ კავკასია უშუალოდ აქემენიანთა იმპერიის რომელიმე სატრაპიის შემადგენლობაში, მაგრამ ის კი უდავოა, რომ სამხრეთ კავკასია და მათ შორის საქართველო აქემენიდური სამყაროსა და აქემენიდური კულტურის ორგანული ნაწილი იყო (გაგოშიძე, 2012, გვ. 20).

ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ზ. ბრაგვაძეს, რომელსაც სრულიად ვეთანხმებით. მას საქართველოში აღმოჩენილი ირანული არტეფაქტები განხილული აქვს როგორც სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ რელიგიური ურთიერთობების შედეგი. კოლხეთში სახელმწიფოს ჩამოყალიბება ემთხვევა ირანში დარიოს I - ის მეფობის ხანას. სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია აზრი, რომ კოლხეთში სახელმწიფო შეიქმნა ძვ.წ. VI ს-ში და ამ სამეფოს აღმავლობის პერიოდად მიჩნეულია ძვ.წ. -VI-IVსს-ბი (ინაძე, 1961, გვ. 783-790), ანუ აქემენიდური ირანის ძლიერების ხანა. როგორც ცნობილია, სტრაბონის ცნობით კოლხეთი ამ დროს დაყოფილია სკეპტუხებად ხოლო დარიოს რეფორმების შედეგად ირანი დაყოფილია სატრაპიებად, აქვე უნდა გავიხსენოთ ლეონტი მროველიც - ფარნავაზმა სამეფო დაყო ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებად, საერისთაოებად და რაც მთავარია, მან ეს რეფორმა გაატარა და სამეფო მოაწყო სპარსთა სამეფოს მსგავსად (ლეონტი მროველი 1955:23). ანუ, სახელმწიფოს მოწყობის ირანული მოდელი ქართლის (იბერიის) სამეფოში ამოქმედდა აქემენიდების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ ძვ.წ. III საუკუნეში, ზურაბ ბრაგვაძის აზრით ეს მეტად საყურადღებო გადმოცემაა, რადგან კარგად წარმოაჩენს, რომ ირანში შემუშავებული და განხორციელებული რეფორმები ამ სამეფოს შემდეგაც აქტუალური და მისაბაძი იყო (ბრაგვაძე, 2021, გვ.48).

მისაბაძი იყო აგრეთვე ეკლექტიკური აქემენიდური ხელოვნებაც, რომელსაც ნასესხები ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნების (ასურეთის, ბაბილონის, ელამის, ურარტუს, საბერძნეთის და სხვა. ) ხელოვნების დეტალები, და მიუხედავად ამისა, მთლიანობაში აქემენიდური ხელოვნება მაინც სფეციპიკურად ირანულია(Луконин, 1977, გვ. 72).

ჯ. ბორდმანის აზრით აქემენიდური გლიპტიკის ძეგლებში ბერძნული და სპარსული სტილის მკვეთრად გამიჯვნა რთული საკითხია და ზოგჯერ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (Boardman, 1970, გვ. 303). აქემენიდურ საბეჭდავების მასალად, როგორც ავღნიშნეთ, უმეტესად სხვადასხვა ფერის ქალცედონი იხმარებოდა - დიდი სიყვარულით სარგებლობდა რძისფერი, განსაკუთრებით კი ცისფერი ქალცედონი-საფირინი. იშვიათად იყენებდნენ აგრეთვე აგატსა და სარდიონსაც.

გლიპტიკოს ქეთევან ჯავახიშვილის მიერ განსაზღვრულია საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური გლიპტიკის ძეგლების ფორმები: ცილინდრული, კონუსური, პირამიდული, სკარაბეოიდისა და მრავალწახნაგა. ჩვენ ამ ჩამონათვალს დავუმატეთ სამკუთხა და ოთხკუთხა ფორმის სახელურიანი ბრინჯაოს საბეჭდავები რომელთა საბეჭდავ პირზე აღბეჭდილი სიუჯეტები აქემენიდური ხელოვნების ზეგავლენით არიან შექმნილნი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ტიპის საბეჭდავები ირანსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში ქვისაგან მზადდებოდა.

გლიპტიკოს ქეთევან ჯავახიშვილის ნაშრომში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი აქემენიდური გლიპტიკის მხოლოდ იმპორტული ნიმუშები.

ცალკე მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს საქართველოში ძირითადად მის აღმოსავლეთ ნაწილში, ძველი ქართლის- იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მკვლევართა მიერ ადგილობრივ ნახელავად მიჩნეული გლიპტიკური ძეგლები: ლითონის ფარაკიანი ბეჭდები (ძვ. წ. IV-III სს. ახალგორი, ყანჩაეთი, ტახტიძირი და სხვა ) და ლურჯი მინის მრავალწახნაგები (ძვ. წ. II ს- ახ. წ. I ს დასაწყისი ხანისა მცხეთა-სამთავრო, ნერონ-დერესი, ლოჭინი, ურბნისი, არკანეთი და სხვა.) რომლებიც აქემენიდური წრის პროვინციულ იბერიულ ნახელავად უნდა იქნეს მიჩნეული.

რადგან ჩვენ ვეხებით ციხიაგორაზე აღმოჩენილ საბეჭდავებს, რომლებიც აქემენიდური ხელოვნების გავლენით არიან შექმნილნი, ალბათ საჭიროა მცირე ექსკურსი ამ ძეგლთან დაკავშირებით.

ციხიაგორის სატაძრო კომპლექსის შესწავლა 1971 წელს დაიწყო, გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით გათხრისას გორაზე დადასტურდა სამი კულტურული ფენა - ადრებრინჯაოსი, გვიანბრინჯაოსი და ანტიკური ხანის. ყველაზე მნიშვნელოვან ფენად ანტიკურია მიჩნეული გამთხრელების მიერ. მისი სიმძლავრე 4 მეტრს აღწევს. ამ ფენას ეკუთვნის ელინისტური ხანის უნიკალური სატაძრო კომპლექსი, რომელიც გ. ცქიტიშვილის აზრით, ძვ.წ.IV ს-ის დასასრულით ძვ .წ. III ს-ის შუა ხანებით . ხოლო გ. ნარიმანაშვილის და ზ. მახარაძის აზრით ძვ.წ. III დასაწყისის და ძვ.წ. II ს-ის შუა ხანებით თარიღდება. სატაძრო კომპლექსი გორის თითქმის მთელ თხემს იკავებს, მასში შედის თვით ტაძარი და მასთან დაკავშირებული ნაგებობები: მარანი, ბეღელი, წისქვილი, „სატრაპეზო“, სათონე დაა სხვა. კომპლექსი შემოზღუდულია გალავნით. ტაძრის კომპლექსში შემავალი „სატრაპეზოს“ ტერიტორიაზე ელინისტური ფენის VIII დონის ქვეშ აღმოჩნდა აქემენიდური ხანის ფენა, ამ ფენის ქვეშ აღმოჩნდა გვიან ბრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვიან ბრინჯაოს ხანის ფენის ქვეშ გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები, რომლებიც გამართული იიყო ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე. შედეგად არქეოლოგებმა მიიღეს ციხიაგორას კულტურული ფენების შემდეგი თანმიმდევრობა:

I ფენა - ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი ძვ. წ.III ათასწლეულის მეორე ნახევარი

II ფენა - შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები - ძვ.წ. II ათასწლეული პირველი ნახევარი

III ფენა_ გვიანბრინჯაო-რკინის ხნის ნასახლარი

IV ფენა- აქემენიდური ხანის ძვ.წ. VI საუკუნის მიწურული და IV საუკუნე

V ფენა - ელინისტური ხანის რვა სამშენებლო დონე ძვ.წ. III-I სს.

საინტერესოა აგრეთვე სატაძრო კომპლექსის სიახლოვეს არსებული სამაროვანი „დაჭრილები“ და „საყარაულო სერი“ რომლის სამარხეული ინვენტარი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ (ახალგორი, ალგეთი, სამადლო, ვანი) მდიდრულ სამარხთა ინვენტართან, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდებიან.

განსაკუთრებით ჩვენს ინტერესს იწვევს სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფირფიტა-დისკო. საქართველოში მსგავსი დისკო, ცნობილია 1908 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ახალგორის განძიდან. კავთისხევის ცალი უახლოვდება ახალგორში აღმოჩენილ ოქროს დისკოს. ორივე შემკულია ნაპირებთან გარშემოვლებული ზუსტად ერთნაირი ორნამენტით - პალმეტებით. მაგრამ მათ შორის გარკვეული სხვაობაცაა. ახალგორის ფირფიტაზე შემკულობის ყოველი დეტალი გამოყვანილია ცალკე და შემდეგ არის მირჩილული ძირითად ფურცელზე. კავთისხევის ფირფიტა კი ერთი მთლიანი ტვიფრითაა ამოტვიფრული. ძვ.წ. V- IV - სს. პირველი ნახევრის კომპლექსებში დატვიფრულ გამოსახულებიანი ფირფიტები არ არის ცნობილი, მომდევნო ხანაში კი ფართოდ

ვრცელდება. ამ დაკვირვების თანახმად გიორგი ცქიტიშვილს მიაჩნია, რომ კავთისხევის ფირფიტა დისკო ახალგორულთან შედარებით უფრო გვიანდელად გამოიყურება (მსგავსი ფირფიტა ოღონდ ვერცხლის, მოოქროვილი, 15 სმ-ის დიამეტრით შემთხვევით მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა 1982 წელს კასპის რაიონის სოფ. სასირეთში). საყურადღებოა გიშრის მძივი ხარის ორმაგპროტომის გამოსახულებით, მსგავსი ციხიაგორის ტაძარში აღმოჩენილი კაპიტელისა. სამარხი ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით თარიღდება. განხილული მასალა აშკარად აქემენიდური ხელოვნების წრეში ექცევა.

ჩვენი სტატიის მთავარ განხილვის საგანს წამოადგენს ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი ტოლგვერდა სამკუთხა ფორმის სახელურიანი საბეჭდავი, რომელიც დამზადებულია ბრინჯაოს სქელი ფირფიტისაგან, საბეჭდავი ყალიბში უნდა იყოს ჩამოსხმული. კუთხეები საბეჭდავს მომრგვალებული აქვს, ზურგზე მირჩილული მრგვალგანივკვეთიანი მასიური სახელურით. საბეჭდავის ზომებია: 64X64X64 მმ. (ტაბ. I).



საბეჭდავის პირზე აღბეჭდილია ფანტასტიკური ცხოველი და ორი ფრინველი, გამოსახულება ღრმაა, მკაფიო, მოცულობითი და პლასტიკური. ნახატი ძალიან თავისებურაად არის გააზრებული, ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ფანტასტიკური ცხოველი, რომელიც ვფიქრობთ ძაღლის, ლომისა და არწივის სინთეზია (თავი აშკარად ძაღლისაა, კუდი ლომის, ხოლო წინა კიდური მთავრდება არწივისებური ბრჭყალებით). ცხოველი გამოსახულია ნახტომში. მისი თავი და წინა ორი კიდური საკმაოდ ძლიერია და გამოსახულია მოძრაობაში, ხოლო ტორსი და უკანა კიდურები თითქმის უმოძრაოა და სრულებით არ შეეფარდება იმ დინამიურ განწყობას, რაც თავისა და წინა კიდურების გადმოცემისას არის აღბეჭდილი. ასევე მშვიდად და თითქმის უმოძრაოდაა გადმოცემული ფრინველები, რომლებიც ცხოველის მაღლა არსებულ სივრცეს ავსებენ.

ეს სიუჟეტი დამახასიათებელია აქემენიდური ირანის გლიპტიკისათვის, ცნობილია ფრთოსანი გრიფონი ანდა მითიური არსება ფრინველის თავით, რომელსაც წინა ფეხები და უკანა ნაწილი ლომისა აქვს, ხოლო უკანა ფეხები არწივის, მის ზემოთ ჩიტი ან ბუზია გამოსახული. მსგავსი სიუჟეტი ასახულია ალგეთის ფარაკიან საბეჭდავზე. აქ ცხოველისა

და ორი ფრინველის გარდა კვიპაროსის ხეა ფარაკის ცენტრში გამოსახული(Куфтин, 1941, გვ. 35, Таб-XI). დაახლოებით ასეთივე სიუჟეტია მოცემული ყანჩაეთის ვერცხლის საბეჭდავ-ბეჭედზე, აქ რქოსანი ცხენი და ფრინველია გამოსახული (გაგოშიძე, 1964, 4-13; ლორთქიფანიძე, 1981, გვ. 37-49).

რაც შეეხება ბრინჯაოს სახელურიან საბეჭდავების ფორმას, ჩვენი ვარაუდით ქრონოლოგიურად მათ წინ უსწრებს ქვისაგან დამზადებული სახელურიანი საბეჭდავები (მათიაშვილი, 2006, გვ. 49) ჩვენს მიერ საქართველოში აღმოჩენილი ქვის სახელურიანი საბეჭდავები , მხედველობაში გვაქვს ურბნისის ქვის საბეჭდავი ძვ.წ. VI- IV ს-ით არის დათარიღებული, რაც ემთხვევა აქემენიდური სამყაროს ძლიერების ხანას.

გარდა ამისა, ქვის სახელურიანი საბეჭდავები ანატოლიისა და ირანის გლიპტიკისათვის არის დამახასიათებელი. ამ ფორმის ქვის საბეჭდავებია დაცული ჟენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში. ამ საბეჭდავებს კვეთისა და ფორმის მიხედვით მიაკუთვნებენ ჰოგარტის მიერ შესწავლილ ჩრდ. სირიაში და ანატოლიაში აღმოჩენილ საბეჭდავთა ჯგუფს, რომელთაც ზოგადად ათარიღებენ II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულლის საწყისით(ალბათ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდშიც ინახება ოთხკუთხა ფორმის ქვის სახელურიანი საბეჭდავები, ე.წ. „ირანული კოლექციიდან“).

აქემენიდურ სამყაროსთან არის დაკავშირებული აგრეთვე თიხის ფრაგმენტი (ბულა) მოყვითალო ყავისფრად გამომწვარი, უფორმო, სწორკუთხა ფორმის, ალბათ ბრინჯაოს სახელურიანი საბეჭდავის ორი ანაბეჭდით. ორივე ანაბეჭდი მცირედ ნაკლულია (ინვ.#1492, საველე #455, 1986 წელი, ანაბეჭდის ზომაა 38×38 მმ, ბულის 100×88 მმ.). აღმოჩნდა მეათე ოთახის აღმოსავლეთ კედელთან (მეათე ოთახის აღმოსავლეთ კედელთანაა აღმოჩენილი აგრეთვე ცხრა თიხის ფრაგმენტი ამ ზომის და ფორმის ანაბეჭდებით, რომლებიც ერთი და იგივე საბეჭდავს უნდა ეკუთვნოდეს) (ტაბ. II).



ანაბეჭდზე აღბეჭდილია სამი ადამიანი და კვიპაროსის ხე (იგივე სიცოცხლის ხე, რომელიც აქემენიდური სამყაროსათვის საკმაოდ ცნობილია). ანაბეჭდის ზედაპირის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია სიცოცხლის ხე, მის მარჯვნივ, პროფილში ერთი, მარცხენა მხარეს კი ორი ადამიანი.

ფიგურათა გამოსახვა სქემატურია, მოკლებულია ყოველგვარ დეტალიზაციას. აქვთ წაგრძელებული თავი, რომელიც კისრის გარეშე, პირდაპირ ტანთან არის გაერთიანებული. მოგრძო, რელიეფური ფიგურით მინიშნებული ტანი. ფეხები გამოსახულია ორი, განზე გაწეული რელიეფური შტრიხით. იმდენად სუმარულადაა აღბეჭდილი, რომ ადამიანთა სახის ნაკვთები და ჩაცმულობის გარკვევა შეუძლებელია. ანაბეჭდზე აღბეჭდილი კვიპაროსის, სიცოცხლის ხის მსგავსი გამოსახვა მოცემულია პერსეპოლისის სასახლის ანსაბლში (Hirshman, 1963, გვ. 182, 228, 229) - კერძოდ, პანდუსების და ორმაგი კიბეების რელიეფებზე. აქ დიდი კვიპაროსის ხეებით გამოყოფფილია ერთმანეთისაგან სხვადასხვა ხალხთა მსვლელობა. ჩვენი ვარაუდით ციხიაგორის ანაბეჭდზე სწორედ პერსეპოლისის პანდუსების და კიბეების რელიეფებზე მოცემული მსგავსი სიცოცხლის ხეა აღბეჭდილი.

სიუჟეტით ციხიაგორას ანაბეჭდი ემსგავსება სამთავროს S უბნის #82 ქვევრსამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს თითზე სატარებელ ფარაკიან საბეჭდავ ბეჭედზე აღბეჭდილ გამოსახულებას - ინტალიოს პირზე, ცენტრში წიწვიანი ხეა. იგი სტილიზებულია. ხის მარჯვენა და მარცხენა მხარეს გრძელ სამოსში შემოსილ ადამიანთა ფიგურები დგას, გამოსახულება ძალიან სქემატურია და სუმარული. ციხიაგორის ანაბეჭდის მსგავსად გამოსახულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. მ. ლორთქიფანიძეს საბეჭდავი დათარიღებული აქვს ძვ.წ. IV–III სს. (ლორთქიფანიძე, 1969, გვ. 104).

საინტერესოა აგრეთვე თიხის ფრაგმენტი-ბულა, რომელიც აღმოჩნდა ტაძრის მარანში (ინვ. 1487, საველე 453, 1986 წელი ). ბულა მოწითალო-ყავისფრად სუსტად არის გამომწვარი, უკანა მხრიდან ეტყობა ქვევრის პირის ანაბეჭდი, ხოლო ზედაპირზე ოვალური ფორმის ორი, ერთი და იგივე საბეჭდავის ანაბეჭდი (ანაბეჭდის ზომაა 46X32 მმ, ბულის 128X101მმ.) **(ტაბ. III).**




ანაბეჭდზე ლომის გამოსახულებაა აღბეჭდილი. იგი მიმართულია მარცხნივ, გადმოცემულია პროფილში. ერთი წინა ფეხი წინ აქვს გადმოდგმული, მეორეს კი ეყრდნობა, ფიგურა მოუქელია და უმოძრაო, სტატიკურ პოზაში. გამოირჩევა დაბალი პროპორციებით, აქვს სქელი კისერი, შევიწროვებული წელი, განიერ კიდურებზე კარგად ეტყობა თატები, კუდი მაღლა აქვს აწეული. ტანთან შედარებით ლომის თავი უფრო რეალისტურია და კარგად არის დამუშავებული. ღია პირი, ღონიერი, მძიმე თათები და მასიური ფიგურა ცხოველის სიძლიერეს გამოხატავს. ანაბეჭდს ჩარჩოდ შემოუყვება სფეროსებური, რელიეფური ბურცობები, რომლებიც მცირე ჯგუფებად არის დაყოფილი. ლომის ფაფარიც მსგავსი რელიეფური სფეროსებური ბურცობებით არის გადმოცემული, რაც ერთგვარ დეკორატიულობას ქმნის.

ზუსტი ანალოგი ლომის გამოსახულებას ანტიკურ მასალებში ვერ ეძებნება. სტილისტურად იგი განსხვავებულია აგრეთვე, ციხიაგორის ანაბეჭდებზე აღბეჭდილ ცხოველთა გამოსახულებებისაგან. ციხიაგორის ანაბეჭდზე გამოსახული არც ერთი გამოსახულება არ არის ჩარჩოთი შემოსაზღვრული და მათზე აღბეჭდილ ცხოველებზე ასეთი მძიმე პროპორციები არ შეიმჩნევა. ერთადერთი რაც აერთიანებს ლომის გამოსახულებიან ანაბეჭდს ციხიაგორის სატაძრო კომპლექსის სხვა ანაბეჭდებთან, არის ანაბეჭდის ზედაპირის მთლიანი შევსება გამოსახულებით.

ლომის მოტივი საბერძნეთში ძვ.წ. VIII საუკუნის შემდეგ ვრცელდება აღმოსავლეთიდან, ხოლო ძვ.წ. VII-VIს-ში მათი გამოსახვის უამრავი მაგალითია ბერძნულ გლიპტიკაში. ჯ. ბორდმანს თავის ნაშრომში ცალკე თავად აქვს გამოყოფფილი არქაული ხანის საბეჭდავები, ძირითადა სკარაბეები ლომის გამოსახულებით, თითქმის ყველ

მათგანი შემოსაზღვრულია ჩარჩოთი, რაც არქაული ეპოქის საბეჭდავების დამახასიათებელი ნიშანია. ამ საბეჭდავებიდან გამოვყოფთ რამოდენიმეს, რომლებსაც ციხიაგორის ანაბეჭდის დედანი ემსგავსება. ამ საბეჭდავებზე გამოსახული ცხოველის დგომის მანერა, აწეული კუდი, დაძაბული სილუეტი, ფაფრის დეკორატიული გადმოცემა ისეთივეა, როგორც ციხიაგორის ანაბეჭდზე. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გამოსახული ლომის ფაფარი რელიეფური სფეროებით, დანარჩენი ფიგურების ფაფარი სწორხაზოვანი შტრიხებით არის აღნიშნული. ორივე შემთხვევაში მათი ზედაპირი მაინც ერთნაირად იკითხება (Boardman, 1968, tab. XXYII-377,373, tab. XXXI – 446).

ფაფრის რელიეფური წერტილებით გადმოცემის მანერა დამახასიათებელია არქაული ხანის დასავლურ-ბერძნული სახელოსნოების ნიმუშებისათვის. ასურეთის, სარგონ II-ის სასახლის მცველების, ფანტასტიური ფრთოსანი ხარები „შედუ“ მსგავსი დეკორატიული მოტივით არიან შემკულნი (История искусства зарубежных стран, 1962, таб. 39) აგრეთვე მოგვიანებით აქემენიდებიც ითვისებენ გამოსახვის ამ დეკორს და სუზისა და პერსეპოლისის ხარისთავებიანი კაპიტელები ასევეა შემკული რელიეფური წერტილებით, ბურცობებით (Верман, 1896, გვ. 285). უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მანერით არის შესრულებული ლომის ფაფარი აგრეთვე დაბლაგომში აღმოჩენილ #12 ქვევრსამარხის რკალგახსნილ ბრინჯაოს ბეჭედზე, რომელიც ძვ.წ. III ს-ით არის დათარიღებული (ლორთქიფანიძე, 1975, გვ. 61-63).

ჩვენი ვარაუდით, ციხიაგორის ლომის გამოსახულებიანი ანაბეჭდი სკარაბეოიდით უნდა იყოს დაბეჭდილი და საბეჭდავი აქემენიდური ხელოვნების ზეგავლენით უნდა იყოს შექმნილი ძვ.წ. III სუკუნეში.

## დასკვნა

ბრინჯაოს სახელურიანი საბეჭდავები საქართველოს გარდა არსად არის მოპოვებული. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოდ დასკვნა, რომ ციხიაგორის საბეჭდავი და ბულებზე აღბეჭდილი საბეჭდავთა ანაბეჭდები არის ადგილობრივი ნახელავი, რომელშიც შეიმჩნევა აქემენიდური ირანის გავლენა. ეს მასალა დათარიღებული გვაქვს ძვ.წ. III ს. ანუ, იმ პერიოდით როდესაც სახელმწიფოს მოწყობის ირანული მოდელი ქართლის (იბერიის) სამეფოში ამოქმედდა აქემენიდების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ.

აქემენიდური ხელოვნებიდან მომდინარე მოტივები დამახასიათებელია აგრეთვე თანადროული ხანის (ძვ. წ. IV-III სს.) იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თითზე სატარებელი ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდებისათვის, რომლებზეც მსგავსად ციხიაგორის საბეჭდავებისა, გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველები, მისგან სტილისტური განსხვავებით (მაგ. ახალგორის განძიდან - საძეგურის, ყანჩაეთის, ალგეთის საბეჭდავები).

## გამოყენებული ლიტერატურა

გაგოშიძე, ი. (1984). *საქართველოს ქრისტესშობამდე V-I საუკუნეებში,* რეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ.

გაგოშიძე, ი. (2012), აქემენიდური და აქემენიდურის მსგავსი ვერცხლის ჭურჭელი, *ონლაინ არქეოლოგია* #3, გვ. 20.

გაგოშიძე, ი. (1964). *ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან.* თბ.

ინაძე, მ. (1961). კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 26. ნაკვეთი 6.თბ.

ლეონტი მროველი. (1955). ცხოვრება ქართველთა მეფეთა, *„ქართლის ცხოვრება“*I. თბ.

ბრაგვაძე, ზ. (2021). *კოლხეთი და იბერია,* თბ.

ლორთქიფანიძე, მ. (1975). *კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი ბეჭდები,* თბ.

ლორთქიფანიძე, მ. (1981). *უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბეერიიდან და კოლხეთიდან,* თბ.

მათიაშვილი, თ. (2006). ქვის საბეჭდავთა ერთი ჯგუფი, არქეოლოგიური კრებული V,

Луконин, В.Г. (1977). *Искусство Древнего Ирана*, Москва.

Верман, К. (1896). *История искусства всех времен и народов,* т. I, С-П.

*Куфтин, Б. А. (1941). Археологические раскопки в Триалети, Т. 1,*

*История искусства зарубежных стран*, (1962). т.I, М.

Hirshman, G. (1963). *Perze proto-Iraniens medes, Achemenids*, Paris.

Boardman, J. (1970). *Greek Gems and Figer Rings*, London>

Boardman, J. (1968). *Archaic Greek Gems*, London.

**REFERENCES**

gagoshidze, i. (1984). sakartvelos krist'esshobamde V-I sauk'uneebshi, reperat'i ist'oriis metsnierebata dokt'oris sametsniero khariskhis mosap'oveblad. tb.

gagoshidze, i. (2012), akemeniduri da akemeniduris msgavsi vertskhlis ch'urch'eli, onlain arkeologia #3, gv. 20.

gagoshidze, i. (1964). adreant'ik'uri khanis dzeglebi ksnis kheobidan. tb.

inadze, m. (1961). k'olkhetis samepos sk'ep't'ukhiata sak'itkhisatvis, sakartvelos metsnierebata ak'ademiis moambe, t'. 26. nak'veti 6.tb.

leont'i mroveli. (1955). tskhovreba kartvelta mepeta, „kartlis tskhovreba“ I. tb.

bragvadze, z. (2021). k'olkheti da iberia, tb.

lortkipanidze, m. (1975). k'olkhetis dzv.ts'. V-III ss. sabech'davi bech'debi, tb.

lortkipanidze, m. (1981). udzvelesi sabech'davi-bech'debi ibeeriidan da k'olkhetidan, tb.

matiashvili, t. (2006). kvis sabech'davta erti jgupi, arkeologiuri k'rebuli V.

Lukonin, V.G. (1977). Iskusstvo Drevnego Irana, Moskva.

Verman, K. (1896). Istorija iskusstva vseh vremen i narodov, t. I, S-P.

Kuftin, B. A. (1941). Arheologicheskie raskopki v Trialeti, T. 1,

Istorija iskusstva zarubezhnyh stran, (1962). t.I, M.

Hirshman, G. (1963). *Perze proto-Iraniens medes, Achemenids*, Paris.

Boardman, J. (1970). *Greek Gems and Figer Rings*, London>

Boardman, J. (1968). *Archaic Greek Gems*, London.

**ტაბულების აღწერა:**

1. ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი ბრინჯაოს სახელურიანი სამკუთხა ფორმის საბეჭდავი, ფანტასტიური ცხოველის და ორი ფრინველის გამოსახულებით;
2. ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი თიხის ბულა, სწორკუთხა ფორმის ანაბეჭდით, სამი ადამიანის და კვიპაროსის ხის გამოსახულებით;
3. ციხიაგორის სატაძრო კომპლექსში აღმოჩენილი თიხის ბულა, ოვალური ფორმის ანაბეჭდით, ლომის გამოსახულებით.